ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

საბჭოს სხდომის
ოქმი N 12
24.10.2019

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის ცენტრების დებულებების დამტკიცება:
    - შშმ პირების საკითხების კვლევის ცენტრი
    - ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი
    - ადრეული განვითარების, განათლებისა და ინტერვენციის კვლევითი ცენტრი
2. სტრატეგიის მონიტორინგის ჯგუფის შექმნა
3. კვლევის ეთიკური კომისიის საკითხი - IRB -ს შექმნა ფაკულტეტზე
4. სადოქტორო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის წევრების ჩამონათვალში ხარვეზის გასწორება
5. სადოქტორო დისერტაციის თემების და ხელმძღვანელების დამტკიცება
6. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სამუშაო ჯგუფის შექმნა პროგრამული აკრედიტაციისთვის
7. ასოცირებული პროფესორის, გ. გოროშიძის წერილის განხილვა
8. 2002 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულ **თამარ იაძის** კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის შესაბამისობაში მოყვანა დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანებასთან
9. კვალიფიკაციის მინიჭების წარდგინებები - გადატანილი დიპლომების დაცვის
10. სხვა

სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს თავჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორები :

ლალი სურმანიძე

ასოცირებული პროფესორები :

თამარ აბაშიძე, ლუიზა არუთინოვა, გიორგი გოროშიძე, მანანა მელიქიშვილი, მაია მესტვირიშვილი, ვახტანგ ნადარეიშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი, ირინე ჟვანია, ხათუნა მარწყვიშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, ნინო ლაბარტყავა.

ასისტენტ პროფესორები:

<u>განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

პროფესორი:

ასოცირებული პროფესორი :

რუსუდან სანაძე, იზაბელა პეტრიაშვილი, ეთერ ღვინერია

სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები:

ანა კვირიკაშვილი, მარიამ ბექაური, ირაკლი ხაბულიანი, დიანა ზვიადაძე, მარინა ბორჩაშვილი, ქეთევან ცანავა.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომას ესწრებოდა **22 წევრი**

განიხილეს:

1. **ფაკულტეტის ცენტრების დებულებების დამტკიცება.**
   ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ასოც, პროფესორმა ი. ჟვანიამ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი და წარუდგინა პირველი საკითხად ფაკულტეტზე არსებული ცენტრების დებულებების დამტკიცება: შშმ პირების საკითხების კვლევის ცენტრის, ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი, ადრეული განვითრების, განათლებისა და ინტერვენციის კვლევითი ცენტრი. ამ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ხაზი გაუსვა ცენტრების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ მათ ფაკულტეტისათვის კომერციული დატვირთვაც ექნებათ. ყველა ცენტრის დებულება

კორექტირებული იყო ირუდიული დეპრტამენტის მიერ და დაგზავნილი იყო საბჭოს წევრებთან. შენიშვნები და რეკომენდაციები არ მიგვიღია. დებულებების დამტკიცების შემდეგ უკვე დამტკიცდება ცენტრების ხელმძღვანელებიც. ფაკულტეტის საბჭომ ცალ-ცალკე უყარა კენჭი ცენტრების დებულებების დამტკიცებას.

კენჭი უყარეს წინადადებას: შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრის დებულების დამტკიცების საკითხს.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

კენჭი უყარეს წინადადებას: ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის დებულების დამტკიცების საკითხს.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

კენჭი უყარეს წინადადებას: ადრეული განვითარების, განათლებისა და ინტერვენციის კვლევითი ცენტრი დებულების დამტკიცების საკითხს.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

2. **სტრატეგიის მონიტორინგის ჯგუფის შექმნა**

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ დააყენა სტრატეგიის მონიტორინგის ჯგუფის შექმნის საკითხი. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტს შემუშავებული აქვს სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც მნიშვნელოვანია და უკვე ვებ-გვერდზე არის განთავსებული. დოკუმენტის მიხედვით

ფაკულტეტზე საბჭოს უნდა შეექმნა სტრატეგიის მონიტორინგის ჯგუფი. შესაბამისად, საბჭოს სხდომაზე წამოაყენეს კანდიდატურები.

კენჭი უყარეს დიანა ზვიადაძის კანდიდატურას სტრატეგიის მონიტორინგის ჯგუფის წევრობაზე.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

კენჭი უყარეს ეფემია ხარაძის კანდიდატურას სტრატეგიის მონიტორინგის ჯგუფის წევრობაზე.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

კენჭი უყარეს შორენა მამუკაძის კანდიდატურას სტრატეგიის მონიტორინგის ჯგუფის წევრობაზე.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

კენჭი უყარეს ნინო ლაბარტყავას კანდიდატურას სტრატეგიის მონიტორინგის ჯგუფის წევრობაზე.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

კენჭი უყარეს მედეა დესპოტაშვილის კანდიდატურას სტრატეგიის მონიტორინგის ჯგუფის წევრობაზე.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

კენჭი უყარეს გიორგი გოროშიძის კანდიდატურას სტრატეგიის მონიტორინგის ჯგუფის წევრობაზე.

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 1

კენჭი უყარეს ქეთევან მოსიაშვილის კანდიდატურას სტრატეგიის მონიტორინგის ჯგუფის წევრობაზე.

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 1

დაადგინეს: შეიქმნას ფაკულტეტის სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

დიანა ზვიადაძე, ეფემია ხარაძე, გიორგი გოროშიძე, შორენა მამუკაძე, ნინო ლაბარტყავა, ქეთი მოსაშვილი, მედეა დესპოტაშვილი.

3. **კვლევის ეთიკური კომისიის საკითხი - IRB -ს შექმნა ფაკულტეტზე**

ასოცირებულმა პროფესორმა ეკატერინე ფირცხალავამ კვლავ დააყენა ფაკულტეტზე ეთიკური კომისიის შექნის საკითხი. მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი უნივერსიტეტის ფორმა (დოკუმენტი) აიღეს ნიმუშად, თარგმნეს და ცდილობენ, რომ მოარგონ ფაკულტეტს. მისი აზრით, ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც აღნიშნულ დოკუმენტს მოარგებს ფაკულტეტს და ეთიკის კომისიის შექმნის შემდეგ იქნებ მისთვის სახელმძღვანელო. მან თხოვა ინსტიტუტების წარმომადგენლებს სამუშაო ჯგუფში ინსტიტუტების თითო წარმომადგენლის გაგზავნა, რომელიც საბჭოს წრუდგენს კვლევის ეთიკური კომისიის დებულების სამუშაო ვერსიას. საბჭომ ცნობად მიიღო ასოც. პროფესორის, ეკა ფირცხალავას განცხადება.

4. **სადოქტორო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის წევრების ჩამონათვალში ხარვეზის გასწორება**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა თამარ გაგოშიძემ აღნიშნა, რომ სადოქტორო დარგობრივი კომისიის არჩევის დროს პატარა უზუსტობა გაიპარა. კომისიის წევრი უნდა ყოფილიყო ყველა პროგრამის ხელმძღვანელი. შესაბამისად, პროფესორი ლალი სურმანიძე, რომელიც არ არის მოქმედი კომისიის წევრი უნდა აირჩეს და მან უდა ჩაანაცვლოს ასოცირებული პროფესორი მედეა დესპოტაშვილი.

კენჭი უყარეს ლალი სურმანიძის კანდიდატურას სადოქტორო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის წევრობაზე და ასოცირებული პროფესორის მედეა დესპოტაშვილის ჩანაცვლებას.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

5. **ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2019–2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხული დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სათაურების დამტკიცება**

ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ასოცირებულმა პროფესორმა ირინე ჟვანია საბჭოს მოახსენა სხვადასხვა სადოქტორო პროგრამის დოქტორანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სათაურების დამტკიცების საკითხი.

თამარი გიორგობიანი - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა – „კლინიკური ნეიროფსიქოლოგია“, სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი შორენა მამუკაძე; სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება - **„აგრამატიზმი აფაზიების სხვადასხვა ფორმის დროს.“**

აზრი გამოთქვეს:

აღნიშნულ სათაურთან დაკავშირებით აზრი არ გამოუთქვამთ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს და სათაური მისაღები აღმოჩნდა მათთვის.

კენჭი უყარეს თამარ გიორგობიანის სამეცნიერო ხელმძღვანელის – ასოცირებული პროფესორის შორენა მამუკაძისა და სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სათაურის - „აგრამატიზმი აფაზიების სხვადასხვა ფორმის დროს“ - დამტკიცებას.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა – „განათლების ფსიქოლოგია“

1. **ოთარ სოხაძე** - სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი ია აფთარაშვილი; სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება - **„კულტურული კოგნიციის გავლენა ახალი ინფორმაციის გადამუშავების პროცესზე დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებში.“**

აზრი გამოთქვეს:

აღნიშნულ სათაურთან დაკავშირებით აზრი პროფესორმა ლალი სურმანიძემ და აღნიშნა, რომ იქნებ შეიცვალოს კულტურული კოგნიცია.

კენჭი უყარეს ოთარ სოხაძის სამეცნიერო ხელმძღვანელის – ასოცირებული პროფესორის ია აფთარაშვილისა და სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სათაურის - „კულტურული კოგნიციის გავლენა ახალი ინფორმაციის გადამუშავების პროცესზე დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებში“ - დამტკიცებას.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

2. **თამარ მაღლაკელიძე** - სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი მზია წერეთელი; სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება – **„თვითრეგულირებადი სწავლა**

ზოგად საგანმანათლებლო სივრცეში: ტიპური და არატიპური განვითარების მქონე მოსწავლეებში.”

აზრი გამოთქვეს:

აღნიშნულ სათაურთან დაკავშირებით აზრი არ გამოუთქვამთ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს და სათაური მისაღები აღმოჩნდა მათთვის.

კენჭი უყარეს თამარ მაღლაკელიძის სამეცნიერო ხელმძღვანელის –პროფესორი მზია წერეთელისა და სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სათაურის - „თვითრეგულირებადი სწავლა ზოგად საგანმანათლებლო სივრცეში: ტიპური და არატიპური განვითარების მქონე მოსწავლეებში”- დამტკიცებას.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

3. **მეგი საჯაია** - სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი ია აფთარაშვილი; სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება - **„21-ე საუკუნის მოსწავლის მე კონცეფციის სტრუქტურა და განმაპირობებელი ფაქტორები“.**

აზრი გამოთქვეს:

აღნიშნულ სათაურთან დაკავშირებით აზრი არ გამოუთქვამთ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს და სათაური მისაღები აღმოჩნდა მათთვის.

კენჭი უყარეს მეგი საჯაის სამეცნიერო ხელმძღვანელის – ასოცირებული პროფესორის იაფთარაშვილისა და სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სათაურის -„21-ე საუკუნის მოსწავლის მე კონცეფციის სტრუქტურა და განმაპირობებელი ფაქტორები“ - დამტკიცებას.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

4. **ანი გეჯაძე** - სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი მზია წერეთელი; სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება - **"ანიმაციის ტექნიკის სწავლების გავლენა თვითშეფასებაზე".**

აზრი გამოთქვეს:

აღნიშნულ სათაურთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს პროფესორებმა თამარ გაგოშიძემ, ლალი სურმანიძემ, ბელა არუთინოვამ. მათ აღნიშნეს, რომ სათაური გაუგებარია და დაზუსტებას საჭიროებს. ფაკულტეტის საბჭო დასამტკიცებლად განიხილავს სადისერტაციო ნაშრომის სათაურს მისი დაზუსტების შემდეგ.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა – **„განათლების მეცნიერებები"**

ხვიჩა ყაზაიშვილი - სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ქეთევან ჭკუასელი; სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება - **„1919-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სისტემა".**

აზრი გამოთქვეს:

აღნიშნულ სათაურთან დაკავშირებით ასოცირებულმა პროფესორებმა ბელა არუთინოვამ აღნიშნა, რომ ეს არ არის სამეცნიერო ნაშრომის სათაური და რომ ის მხარს არ დაუჭერს მის დამტკიცებას. ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს სხვა წევრებსაც მსგავსი პოზიცია ჰქონდათ.

კენჭი უყარეს ხვიჩა ყაზაიშვილის სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სათაურის „1919-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სისტემა" - დამტკიცებას.

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 13

თავი შეიკავა: 9

6. **ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სამუშაო ჯგუფის შექმნა პროგრამული აკრედიტაციისთვის**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ასოცირებულმა პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა ისაუბრა პროგრამული აკრედიტაციის საკითხზე და აღნიშნა, რომ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ აუცილებელია, ფაკულტეტზე არსებობდეს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მომუშავე თვითშეფასების ჯგუფი. ამ ჯგუფის წევრი უნდა იყოს ყველა ინსტიტუტის წარმომადგენელი.

აზრი გამოთქვეს:

ასოცირებულმა პროფესორმა ანასტასია ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციასთან დაკავშირებული პროცედურები კიდევ უფრო რთულდება და „ქაღალდომანია“, რომელსაც ეს პროცესი მოითხოვს, მისი აზრით, ხარისხს არ აუმჯობესებს. მას მიაჩნია, რომ ეს პროცედურები უნდა გამარტივდეს. თუმცა, ის რაც აკრედიტაციისათვის არის გასაკეთებელი, ამას ვერავინ გაექცევა და ამიტომ კარგი იქნება, თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეადგენს დავალებების გეგმა-გრაფიკს ინსტიტუტებისათვის, აღნიშნა პროფესორმა თამარ გაგოშიძემ. ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ ის გაუგზავნის ინსტიტუტის ხელმძღვანელებს თხოვნას, მონაწილეობა მიიღონ ფსიქოლოგიის საბაკალვრო პროგრამის შემუშავებაში, ან გამოაგზავნონ თავიანთი კანდიდატურები. საბჭომ ცნობად მიიღო აღნიშნული ინფორმაცია.

დაადგინეს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა თხოვოს სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სამუსაოდ წარმოადგინონ კანდიდატები.

7. **ასოცირებული პროფესორის, გ. გოროშიძის წერილის განხილვა**

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო ასოცირებული პროფესორის გიორგი გოროშიძის წერილი. წერილის გაცნობის საკითხი გააპროტესტა თავად წერილის ავტორმა. მან აღნიშნა, რომ მასთან შეუთანხმებლად არავის ჰქონდა წერილის გასაჯაროების უფლება და ცდილობდა ხელი შეეშალა წერილის გაცნობისთვის. თუმცა, წერილის ადრესატი პროფესორი

თამარ გაგოშიძე, რომელიც დადანაშაულებულია საბჭოს ოქმების გაყალბებაში, თავს ვალდებულად თვლიდა საბჭოსთვის გაეცნო არსებული წერილის შინაარსი. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ის პირველ რიგში ფაკულტეტის პროფესორია და ფაკულტეტის საბჭო უმაღლეს კოლეგიალურ ორგანოდ მიაჩნია ფაკულტეტზე. მისი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია გ. გოროშიძის წერილის ფაკულტეტის საბჭოზე განხილვა, რადგან მასში გამოთქმული ბრალდებები ირიბად ფაკულტეტის საბჭოს წევრებსაც ეხებათ.

აზრი გამოთქვეს:

ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი გოროშიძემ, რომელიც გამოთქვამდა მწვავე პროტესტს წერილის განხილვასთან დაკავშირებით და მოითხოვდა მისთვის მიუღებელი შინაარსების ამოღებას ფაკულტეტის საბჭოს ოქმებიდან, რადგან მათ შეურაცხმყოფელად თვლიდა.

ასოცირებულმა პროფესორმა ვახტანგ ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ მომავალში უმჯობესი იქნება, რომ აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებული საკითხების განხილვას არ დაესწრონ სტუდენტები. იგივე აზრი გამოთქვა ასოცირებულმა პროფესორმა რუსუდან სანაძემ. მისი აზრით, ასეთი განხილვებისათვის სხვა ფორმატი უნდა შეირჩეს. პროფესრმა თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია, რატომ არ უნდა იყვნენ სტუდენტები ჩართული ყველა სახის საკითხის განხილვაში, რადგან ისინი საბჭოს სრულუფლებიანი წევრები არიან. გასაგებია, რომ მსგავსი საკითხები უსიამოვნო და უხერხული ხასიათისაა, მაგრამ ეს რეალობაა, რასაც სტუდენტებს ვერ დავუმალავთ.

ვ. ნადარეიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოზე აღნიშნული საკითხების განხილვა ნაკლებად ეფექტური და უშედეგოა და უმჯობესია მსგავსი საკითხების განსახილველად ეთიკის კომისიისთვის მიმართვა. ასოცირებულმა პროფესორებმა ლუიზა არუთინოვამ და ხათუნა მარწყვიშვილმა აღნიშნეს, რომ წერილში გამოთქმული ბრალდებები აუცილებლად უნდა იქნას განხილული ეთიკურ ჭრილში და ჯობს გადაეცეს ეთიკის კომისიას .

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ თამარ გაგოშიძემ დააყენა კენჭისყრაზე გ.გოროშიძის წერილის აკადემიური, სამეცნიერო და მასწავლებელთა პერსონალის მიერ დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემსწავლელ კომისიაზე გადაცემის საკითხი.

კენჭი უყარეს წინადადებას: გადაეცეს გ.გოროშიძის წერილში წარმოდგენილი საკითხები განსახილველად აკადემიური, სამეცნიერო და მასწავლებელთა პერსონალის მიერ დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემსწავლელ კომისიას.

მომხრე: 16

წინააღმდეგი: 1

თავი შეიკავა: 5

დაადგინეს: ასოცირებული პროფესორის გ. გოროშიძის წერილში წარმოდგენილი საკითხები განსახილველად გადაცესაკადემიური, სამეცნიერო და მასწავლებელთა პერსონალის მიერ დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემსწავლელ კომისიას.

8. **2002 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულ თამარ იაძის კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის შესაბამისობაში მოყვანა დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანებასთან**

ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა ასოცირებულმა პროფესორმა ირინე ჟვანიამ საბჭოს მოახსენა 2002 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულ თამარ იაძისთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც გულისხმობ: ფსიქოლოგიის ფაკუკლტეტის 2002 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულ **თამარ იაძის** კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანას.

თსუ–ს რექტორს განცხადებით მიმართა ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა თამარ იაძემ რომელიც ითხოვს მის სახელზე დიპლომისა და დანართის ახალი ფორმით დამზადებას (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა).ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ თამარ შალვას ასული იაძე 2000 წელს (ბრძ. N4/728, 24. 07. 2000 წ.) ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის **მაგისტრატურის** საბიუჯეტო სექტორის ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის პირველ კურსზე. 2002 წელს (ბრძ. N4/761, 04. 07. 2002 წ.) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის საბიუჯეტო განყოფილების მაგისტრატურის კურსდამთავრებულ თამარი შალვას ასულ იაძეს მიენიჭა **ფსიქოლოგიის მაგისტრის** აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგიური კონსულტაციის სპეციალობა. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის 2002 წლის 20 ივნისის შემაჯამებელი

სხდომის (ოქმი უნომრო) გადაწყვეტილებით ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულ თამარ შალვას ასულ იაძეს მიენიჭა ზოგადი ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობით. თსუ-ს არქივიდან მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის 2002 წლის 20 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმებში არის რამოდენიმე უზუსტობა. კერძოდ:

1. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში ფიქსირდებიან 2 სხვადასხვა - ნეიროფსიქოლოგიის და ფსიქოლოგიური კონსულტაციის სპეციალობის კურსდამთავრებულები (ოქმი უნომრო 20.06.2002წ.). აღნიშნული ოქმის მიხედვით ორივე სპეციალობის კურსდამთავრებულებს მინიჭებული აქვთ ზოგადი ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობით. (ბრძანებაში ფიქსირდება ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ერთ შემთხვევაში ფსიქოლოგიური კონსულტაციის, მეორე შემთხვევაში - ნეიროფსიქოლოგიის სპეციალობაში.)
2. 2002 წლის 20 ივნისის ოქმიN1-ში ფიქსირდებიან ნეიროფსიქოლოგიის სპეციალობის (ზოგადი ფსიქოლოგია) კურსდამთავრებულები, რომელთაც მიენიჭათ ნეიროფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, ზოგადი ფსიქოლოგიის-ნეიროფსიქოლოიის სპეციალობით. აღნიშნული სპეციალობის კურსდამთავრებულები ფიქსირდებიან როგორც N1 ოქმში, ასევე „გაერთიანებულ“ ოქმში ზოგადი ფსიქოლოგიის სპეცილობის სახელწოდებით.
3. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის მიხედვით ამ სპეციალობის კურსდამთავრებულებს მიენიჭათ სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობით (ოქმი უნომრო 20.06.2002წ.)
4. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის შრომის ფსიქოლოგიის სპეციალობის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის მიხედვით შრომის ფსიქოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულებს მიენიჭათ შრომის

ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი შრომის ფსიქოლოგიის სპეციალობით (ოქმი უნომრო 20.06.2002წ.)

5. ცალკე მოწოდებული გვაქვს ასევე ფსიქოლოგიური კონსულტაციის (ზოგადი ფსიქოლოგიის) სპეციალობის ოქმი (უნომრო 20.06.2002წ.), რომელშიც სტუდენტთა გვარები არ არის შეტანილი.

2002 წლის 4 ივლისის N4/761 ბრძანების მიხედვით ყველა სპეციალობის კურსდამთავრებულებს დაფიქსირებული აქვთ **ფსიქოლოგიის მაგისტრის** აკადემიური ხარისხი.

ვინაიდან აღნიშნულ ოქმებში და კვალიფიკაციის მინიჭების ბრძანებაში (ბრძ. N4/761, 04. 07. 2002 წ.) მითითებული კვალიფიკაცია და აკადემიური ხარისხი ერთმანეთს არ ემთხვევა ფაკულტეტმა უნდა დააზუსტოს ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 2002 წლის კურსდამთავრებულთა, მათ შორის თამარ იაძის კვალიფიკაცია და აკადემიური ხარისხი. ასევე დაუნომრავ ოქმებს უნდა მიანიჭოს პირობითი ნომრები.

შესაბამისად უნდა შევიდეს შესწორებები ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის 2002 წლის 20 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმებში:

ოქმი N1 ნეიროფსიქოლოგიის სპეციალობის (ზოგადი ფსიქოლოგია) - შესწორდეს აკადემიური ხარისხის და სპეციალობა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მიენიჭოთ ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს ნეიროფსიქოლოგიის სპეციალობით:

1) ოსიპოვა მაია ანატოლის ასული
2) მიმონოშვილი თეონა ზაზას ასული
3) ოსაძე დიანა თარეშის ასული

ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის („გაერთიანებული“) ოქმი - შესწორდეს აკადემიური ხარისხი და სპეციალობა ასევე ამოღებულ იქნას ნეიროფსიქოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულთა გვარები (ოსიპოვა, მიმინოშვილი, ოსაძე), მიენიჭოს პირობითი ნომერი - N2/3 და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მიენიჭოთ ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს ფსიქოლოგიური კონსულტაციის სპეციალობით:

1) თევზაძე ნინო იურის ასული
2) კაპანაძე თამარი დემურის ასული
3) **იაძე თამარი შალვას ასული**

სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმი - შესწორდეს აკადემიური ხარისხის და სპეციალობა, მიენიჭოს პირობითი ნომერი - N3/3 და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მიენიჭოთ ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობით:

1) ჩინჩალაძე ეკატერინე დემურის ასული
2) რობიტაშვილი თამარი ნოდარის ასული
3) ამაღლობელი თამარი კონსტანტინეს ასული
4) ცისკარიშვილი ლელა სოსოს ასული
5) ქოიავა სოფიო ალექსანდრეს ასული

შრომის ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმი - შესწორდეს აკადემიური ხარისხის და სპეციალობა, მიენიჭოს პირობითი ნომერი - N4/3 და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მიენიჭოთ ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობით:

1) გოგიჩაიშვილი სოფიო იოსების ასული
2) იშხნელი ნინო ზაალის ასული
3) მაკარიძე ელენე სერგოს ასული
4) სიმონგულაშვილი თამარი ივერის ასული
5) ჟღენტი თამარი დავითის ასული

კენჭი უყარეს წინადადებას, რომ შესწორება შევიდეს შესაბამის ოქმებში და თამარ იაძის კვალიფიკაციის მინიჭების ოქმი შესაბამისობაში მოვიდეს დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანებასთან.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: შევიდეს შესწორება ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 2002 წლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 20 ივნისის ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმში - შესწორდეს აკადემიური ხარისხის და სპეციალობა, მიენიჭოს პირობითი ნომერი N2/3 და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მიენიჭოთ ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს ფსიქოლოგიური კონსულტაციის სპეციალობით:

1) თევზაძე ნინო იურის ასული
2) კაპანაძე თამარი დემურის ასული
3) **იაძე თამარი შალვას ასული**

შევიდეს შესწორება ოქმი N1 ნეიროფსიქოლოგიის სპეციალობის (ზოგადი ფსიქოლოგია) შესწორდეს აკადემიური ხარისხის და სპეციალობა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მიენიჭოთ ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს ნეიროფსიქოლოგიის სპეციალობით:

1) ოსიპოვა მაია ანატოლის ასული
2) მიმონოშვილი თეონა ზაზას ასული
3) ოსაძე დიანა თარეშის ასული

შევიდეს შესწორება სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმში (უნომრო 20.06.2002წ.) - შესწორდეს აკადემიური ხარისხის და სპეციალობა, მიენიჭოს პირობითი ნომერი N3/3 და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მიენიჭოთ ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობით:

6) ჩინჩალაძე ეკატერინე დემურის ასული
7) რობიტაშვილი თამარი ნოდარის ასული

8) ამაღლობელი თამარი კონსტანტინეს ასული

9) ცისკარიშვილი ლელა სოსოს ასული

10) ქოიავა სოფიო ალექსანდრეს ასული

შევიდეს შესწორება შრომის ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმში (უნომრო 20.06.2002წ.) - შესწორდეს აკადემიური ხარისხის და სპეციალობა, მიენიჭოს პირობითი ნომერი N4/3 და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მიენიჭოთ ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობით:

6) გოგიჩაიშვილი სოფიო იოსების ასული

7) იშხნელი ნინო ზაალის ასული

8) მაკარიძე ელენე სერგოს ასული

9) სიმონგულაშვილი თამარი ივერის ასული

10) ჟღენტი თამარი დავითის ასული

9. **კვალიფიკაციის მინიჭების წარდგინებები - გადატანილი დიპლომების დაცვის**

ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა ასოცირებულმა პროფესორმა ირინე ჟვანიამ საბჭოს წარუდგინა შემდეგი საკითხი, რომელიც ეხებოდა კვალიფიკაციის მინიჭებას. განსახილველად გამოტანილი წარდგინება შემდეგი სახით:

წარდგინება

I. მიენიჭოთ **განათლების ბაკალავრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2018/2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სწავლების ძირითადი დარგი - დაწყებითი განათლების პედაგოგიკა
საბაკალავრო პროგრამა - დაწყებითი განათლება.

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. გაგელიძე ნატო

II. მიენიჭოს გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2018/2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულს:

სამაგისტრო პროგრამა ,,გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. კერესელიძე სალომე
2. ომანაძე სოფიო
3. ყაჭეიშვილი მარიამ

III. მიენიჭოთ ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2018/2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სამაგისტრო პროგრამა: ,,ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება“

დიპლომი წარჩინებით:

1. გაჩეჩილაძე ლანა
2. ზურაბიანი ქეთევან
3. მახარაშვილი თამუნა
4. შარაძე ანა
5. ჭეიშვილი ვიქტორია

დიპლომი ჩვეულებრივი:

6. ლობჟანიძე თამარ
7. სამადაშვილი ქეთევან

IV. მიენიჭოთ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2018/2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სამაგისტრო პროგრამა: ,,შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ბაბუციძე სოფია
2. გიორგაძე ანა
3. ზანგალაძე თამარი
4. ჯორჯაძე ნინო

V. მიენიჭოთ ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2018/2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სამაგისტრო პროგრამა: ,,ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური)"

დიპლომი წარჩინებით:

1. გორგილაძე ეთერ

VI. მიენიჭოთ განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2018/2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სწავლების ძირითადი დარგი - განათლების მეცნიერებები
დიპლომი წარჩინებით:

1. ელაშვილი მარი
2. ტატიშვილი მარიამ

დიპლომი ჩვეულებრივი:

3. ლურსმანაშვილი თეა
4. მაისურაძე მარიამ

სწავლების ძირითადი დარგი - განათლების პოლიტიკა

დიპლომი წარჩინებით:

1. ბანძავა მარიამ
2. გვენეტაძე მანანა
3. მელიქიძე ანა
4. ჩქარეული ნინა

დიპლომი ჩვეულებრივი:

5. აბულაძე ანჟელა

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე.

კენჭი უყარა კვალიფიკაციის მინიჭების საკითხს.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

შესაბამისი კვალიფიკაცია მიენიჭოთ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს.

10. **სხვა**

10.1 პროფესორმა ლალი სურმანიძემ ფაკულტეტის საბჭოს მოახსენა სტუდენტური ჟურნალის შესახებ. მან აღნიშნა, რომ სტუდენტები დიდი ენთუზიაზმითა და მონდომებით არიან ჩაბმული სამეცნიერო საქმიანობაში, რასაც ფაკულტეტის მხრიდან მხარდაჭერა სჭირდება. საბჭოს წინაშე მან დააყენა რამდენიმე საკითხი. პირველი საკითხი ეხებოდა ჟურნალის რედაქტორის არჩევას და მან საბჭოს შესთავაზა, რომ მისი არჩევა მოხდეს როტაციის წესით (2 წლის ვადით), რედაქტორს წარადგენენ დეპარტამენტის ხელმძღვანელები, რომელთაც კენჭისყრის გზით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

კენჭი უყარეს სტუდენტური ჟურნალის რედაქტორის არჩევის წესს.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

სტუდენტური ჟურნალის რედაქტორის არჩევის წესი - რედაქტორს არჩევა ხდება როტაციის წესით, 2 წლის ვადით. რედაქტორს წარადგენენ დეპარატმენტის ხელმძღვანელები, რომელთაც კენჭისყრის გზით ირჩევს და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

ლალი სურმანიძის თხოვნით, საბჭომ იმ დღესვე დააყენა სოფო დოლიძის კანდიდატურა ჟურნალის რედაქტორობაზე.

კენჭი უყარეს სოფო დოლიძის კანდიდატურას სტუდენტური ჟურნალის რედაქტორობაზე.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

სოფიო დოლიძე ორი წლის ვადით არჩეულ იქნას სტუდენტური ჟურნალის რედაქტორად.

საბჭოზე, ასევე, განიხილეს სტუდენტური ჟურნალის მენეჯერის პოზიციის საკითხი. მენეჯერი/პასუხისმგებელი მდივნის პოზიციაზე დააყენეს ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების - მარიამ ლეკვეიშვილისა და ეკატერინე ჯიქიძის არჩევის საკითხი.

კენჭი უყარეს სტუდენტური ჟურნალის მენეჯერი/პასუხისმგებელი მდივნის პოზიციაზე ეკატერინე ჯიქიძის კანდიდატურას.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

კენჭი უყარეს სტუდენტური ჟურნალის მენეჯერი/პასუხისმგებელი მდივნის პოზიციაზე მარიამ ლეკვეიშვილის კანდიდატურას.

დაადგინეს:

ეკატერინე ჯიქიძე და მარიამ ლეკვეიშვილი არჩეულ იქნან სტუდენტური ჟურნალის მენეჯერი/პასუხისმგებელი მდივნის პოზიციაზე.

10.2 საბჭოს მდივანმა ირინე ჟვანიამ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნოს პროფესორ ქეთევან ჭკუასელის განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამას აკრედიტაციის ვადა ეწურება მიმდინარე წლის 31 დეკემბერს. რადგან სასწავლო სემესტრი შედგება 15 კვირისაგან, ხოლო 31 დეკემბერს დოქტორანტები ასრულებენ 14 სასწავლო კვირას, გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ ფაკულტეტის საბჭოზე, რათა მოხდეს ინდივიდუალური პროგრამების შემუშავება 14 კვირაზე“.

კენჭი უყარეს წინადადებას შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებისათვის.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა 14 კვირაზე განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებისათვის.

10.3 შშმ პირების საკითხების კვლევის ცენტრის დირექტორისა და დირექტორის მოადგილის არჩევა.

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ საუნივერსიტეტო დაქვემდებარებაში მყოფ ცენტრს ჰყავდა დირექტორი ასოც. პროფესორი თამარ მახარაძე და მოადგილე - ასოც. პროფესორი ირინე ჟვანია. მან დააყენა საბჭოზე თამარ მახარაძის კანდიდატურა - ცენტრის დირექტორის, ხოლო ირინე ჟვანიას კანდიდატურა - ცენტრის დირექტორის მოადგილის თანამდებობებზე.

კენჭი უყარეს ასოცირებული პროფესორის თამარ მახარაძის კანდიდატურას შშმ პირების საკითხების კვლევის ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

კენჭი უყარეს ასოცირებული პროფესორის ირინე ჟვანიას კანდიდატურას შშმ პირების საკითხების კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე.

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: წარდგენილ იქნას ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე შშმ პირების საკითხების კვლევის ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე.

წარდგენილ იქნას ასოცირებული პროფესორი ირინე ჟვანია შშმ პირების საკითხების კვლევის ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე.

საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე